**ხელშეკრულება N2021/9**
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**

ქ.თბილისი 23 დეკემბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ (ს/კ 202238621; მიმწოდებელი, შემდგომში წოდებული, როგორც - სააგენტო) წარმოდგენილი მისი ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახურის უფროსის შუქია ნაროზაულის სახით, და მეორეს მხრივ, **სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“** (ს/კ 205263873; შემდგომში წოდებული, როგორც შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თამარ ყუფარაძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც მხარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტება**

1.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

**1.1.1 დოკუმენტბრუნვის (საქმისწარმოების) ერთიანი ელექტრონული სისტემა (შემდგომში „პროგრამა“)** - პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს შემსყიდველ ორგანიზაციაში შემოსული, შესრულებული და შექმნილი დოკუმენტების ელექტრონულ მოძრაობას.

**1.1.2 იდენტიფიცირებული მომხმარებლები** - პროგრამაში ავტორიზებული მომხმარებლები, რომელთაც გააჩნიათ წინასწარ განსაზღვრული მომხმარებლის სახელი და პაროლი. იდენტიფიცირებულ მომხმარებლებს სისტემაში შეუძლიათ წაიკითხონ, შექმნან დოკუმენტები, გამოიყენონ პროგრამის ყველა შესაძლებლობა და ფუნქცია წინასწარ განსაზღვრული უფლებების შესაბამისად.

**1.1.3 ტექნიკური მხარდაჭერა** - ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინციდენტების (აი ტი ინციდენტების) აღმოფხვრასთან დაკავშირებული მომსახურება.

**1.1.4 ტექნიკური ხარვეზის შესწორება** - შემსყიდველის მიერ საქმისწარმოების პროგრამის გამოყენებით შექმნილ დოკუმენტებში, შემსყიდველის შეტყობინების საფუძველზე ტექნიკური, აშკარა არითმეტიკული, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომების შესწორება.

**1.1.5 აი ტი ინცინდენტი** - მოვლენა, რომელიც იწვევს სისტემის ფუნქციონირების შეწყვეტას, ან ფუნქციონერების ხარისხის გაუარესებას.

**1.1.6 სერვერი** - ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს, მონაცემთა ბაზის შენახვას და დაცვას.

**1.1.7 მონაცემთა ელექტრონული ბაზა** - პროგრამის მეშვეობით შექმნილი ელექტრონული ინფორმაციის ერთობლიობა.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის ჩართვა დოკუმენტბრუნვის (საქმისწარმოების) ერთიან ელექტრონულ სისტემაში, მისი იდენტიფიცირებული მომხმარებლების სისტემაში წვდომის და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

**მუხლი 3. პროგრამის მიწოდების წესები**

3.1 შემსყიდველის მიერ დოკუმენტბრუნვის (საქმისწარმოების) ერთიანი ელექტრონული სისტემით სარგებლობა ხორციელდება სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზიების (იდენტიფიცირებული მომხმარებლების) საფუძველზე.

3.2 ლიცენზიების (იდენტიფიცირებული მომხმარებლების) რაოდენობაა 650 ერთეული.

3.3 დოკუმენტბრუნვის (საქმისწარმოების) ერთიანი ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს შემდეგი ფუნქციების შესრულებას:

3.3.1 დოკუმენტების აღრიცხვა (შემოსული, შესრულებული კორესპონდენცია, ბრძანებები);

3.3.2 ახალი დოკუმენტების შექმნა/რეგისტრაცია: ნომრის და თარიღის მინიჭება, ხელმოწერა;

3.3.3 დოკუმენტების მოძრაობა რეზოლუციისა და ვიზირებისათვის წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით;

3.3.4 დოკუმენტების ძებნა წინასწარ განსაზღვრული პარამეტრებით (მაგ: რეგისტრაციის თარიღით, და ა.შ.);

3.3.5 დოკუმენტების კლასიფიკაცია სხვადასხვა ტიპებით: ბრძანება, შესრულებული კორესპონდენცია, მოთხოვნა, მოხსენებითი ბარათი და ა.შ;

3.3.6 დოკუმენტების ძებნა შინაარსის მიხედვით;
3.3.7 მომხმარებელთა ჯგუფებისა და როლების მართვა;
3.3.8 პროგრამაზე წვდომის უფლებების ინდივიდუალურად განსაზღვრის შესაძლებლობა;
3.3.9 ელექტრონულად ჩართული ადრესატებისგან გამოგზავნილი კორესპონდენციის აღრიცხვა;
3.3.10 პროგრამაში განთავსებული მონაცემების შენახვა და დაცვა.

**მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

**4.1 სააგენტო ვალდებულია:**

4.1.1 ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებები;
4.1.2 პროგრამაში ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში აცნობოს (წერილობით, ელექტრონული ფოსტით) შემსყიდველს აღნიშნულის თაობაზე და აღმოფხვრას დაზიანება;
4.1.3 უზრუნველყოს სისტემის ეფექტური ფუნქციონირების და სისტემებს შორის თავსებადობის მიზნით ერთიანი სტანდარტების (ფორმატები, ტერმინოლოგია, ფონტები და სხვ.) შემუშავება;
4.1.4 ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჭირო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია;
4.1.5 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მომართვის შემთხვევაში შეასწოროს ტექნიკური ხარვეზი შემსყიდველის იდენტიფიცირებული მომხმარებლის მიერ, პროგრამის მეშვეობით, შექმნილ დოკუმენტში.
4.1.6 განახორციელოს სერვერის (რომელზეც ინახება მონაცემთა ბაზა) ტექნიკური უზრუნველყოფა;
4.1.7 შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობოს დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ ერთი კვირით ადრე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტარდება პროგრამის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი სამუშაოები (პროგრამის განახლება, პატჩები);
4.1.8 შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ პირებს გადასცეს სისტემასთან დაკავშირებული შემდეგი უფლებები/შესაძლებლობები:
4.1.8.1 ნებისმიერი თანამშრომლისთვის მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეცვლის უფლება;
4.1.8.2 ბლანკების რედაქტირების უფლება;
4.1.8.3 მკაცრად არასაჯარო წერილების დათვალიერების უფლება;
4.1.8.4 მხოლოდ საკუთარ კანცელარიაში წერილის ბარათის რედაქტირების უფლება;
4.1.8.5 ნებისმიერი შენიშვნის წაშლის უფლება;
4.1.8.6 ორგანიზაციაში წერილის ბარათის რედაქტირების უფლება;
4.1.8.7 სტატისტიკური მონაცემების დამუშავების უფლება;
4.1.8.8 ფაილების მენეჯმენტი;
4.1.8.9 ფაილების რედაქტირების უფლება;
4.1.8.10 ქვედანაყოფის წერილების დათვალიერების უფლება;
4.1.8.11 წერილების სრული ცხრილის დათვალიერების უფლება;
4.1.8.12 ხელმოწერილი დოკუმენტების წაშლის და რეგენერაციის უფლება;
4.1.8.13 კანცელარიის ოპერატორი;
4.1.8.14 კანცელარიის შაბლონების ადმინისტრირება;
4.1.8.15 კანცელარიის შაბლონების წაშლის უფლება;
4.1.8.16 რეესტრის ადმინისტრირება;
4.1.8.17 რეესტრში გატარებული წერილის ფაილის მენეჯმენტის უფლება;
4.1.8.18 წერილის გაუქმების უფლება;
4.1.8.19 ხელმოწერის მიბმის უფლება;
4.1.8.20 უფლებების ადმინისტრატორი;
4.1.8.21 კადრები, ორგანიზაციის ხის დათვალიერების უფლება;
4.1.8.22 კადრების ადმინისტრატორი;
4.1.8.23 კადრების ოპერატორი;
4.1.8.24 კადრების შაბლონების ადმინისტრირება;
4.1.9 ბლანკების ადმინისტრირების უფლება;
4.1.10 ნომრის გენერატორების ადმინისტრირების უფლება;

**4.2 სააგენტო უფლებამოსილია:**

4.2.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების დაუყონებლივ აღმოფხვრა;

4.2.2 მიაწოდოს შემყიდველს ინფორმაციის ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებით გაცვლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები;
4.2.3 მოახდინოს პროგრამის მოდერნიზაცია, განახლება და შემსყიდველს მიაწოდოს პროგრამის მოხმარების განახლებული ინსტრუქცია;
4.2.4 ხელშეკრულების პირობების შესრულების ზედამხედველობის მიზნით და მის ფარგლებში შემოიღოს მონიტორინგის დამატებითი ფორმები;
4.2.5 განახორციელოს შემსყიდველისათვის პროგრამის მიწოდების მონიტორინგი;
4.2.6 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა;
4.2.7 კანონმდებლობით უფლებამოსილი მესამე პირის მომართვის შემთხვევაში გასცეს სერვერზე დაცული ნებისმიერი ინფორმაცია, მხოლოდ შემსყიდველი მხარის უფლებამოსილი პირის წერილობით თანხმობის საფუძველზე და/ან კანონდმდებლობით დადგენილი წესით.
4.2.8 შემსყიდველის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შეიტანოს გარკვეული კორექტივები ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურების საკითხებში, თუ ეს მოთხოვნა არ აუარესებს ინფორმაციის გაცვლის ხარისხს;
4.2.9 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს ხელშემკვრელ მხარეს აღნიშნულის შესახებ და შეაჩეროს მომსახურების გაწევა/მიწოდება დარღვევის აღმოფხვრამდე;
4.2.10 უარი განაცხადოს პროგრამასთან დაკავშირებით ახალი მოთხოვნების შესრულებაზე;
4.2.11 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე, საფასურის დროულად გადახდა.

**4.3 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:**
4.3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;
4.3.2 ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებები;
4.3.3 საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ორგანიზაციის სტუქტურულ საშტატო ხეში ცვლილებების განხორციელება, თანამშრომლის ხელმოწერის ელექტრონულად დამუშავება და უზრუნველყოს ელექტრონულად დამუშავებული ხელმოწერის მიბმა;
4.3.4 უზრუნველყოს, რომ სისტემაში მის მიერ გამოყენებული პროგრამულ-ტექნიკური და საკომუნიკაციო საშუალებები აკმაყოფილებდეს ექსპლუატაციის პროცედურებს და სტანდარტიზაციის შესაბამის მოთხოვნებს;
4.3.5 პროგრამასთან დაკავშირებით ახალი მოთხოვნების შესახებ აცნობოს ხელშეკრულების N1 დანართში მითითებულ სააგენტოს თანამშრომლებიდან ერთ–ერთს;
4.3.6 ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენისას აცნობოს სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფს N1 დანართში მითითებულ საკონტაქტო ელ. ფოსტასა და ტელ. ნომრებზე.
4.3.7 ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის სააგენტოს მიერ საჭირო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია.
4.3.8 დროულად და დადგენილი წესის შესაბამისად გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების საფასური.

**4.4 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:**
4.4.1 მიაწოდოს სააგენტოს წინანდადებები ინფორმაციის ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებით გაცვლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;
4.4.2 გამონაკლის შემთხვევებში, სააგენტოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შეიტანოს გარკვეული კორექტივები ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების საკითხებში, თუ ეს მოთხოვნა არ აუარესებს ინფორმაციის გაცვლის ხარისხს, ასევე, მიმწოდებლის უფლებრივ მდგომარეობას;
4.4.3 სააგენტოს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტოს წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ;

**მუხლი 5 . მომსახურების საფასური და გადახდის წესი**
5.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა **51’000,00 (ორმოცდათერთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი)** ლარი;
5.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა ხელშეკრულებით განსაზღვრული, სააგენტოს რეკვიზიტების მიხედვით.
5.3. მომსახურების საფასურის დაანგარიშება ხორციელდება N2 დანართის მიხედვით;

5.4. სააგენტო მომსახურების დაანგარიშების მიზნით ყოველთვიურად აღრიცხავს იდენტიფიცირებულ მომხმარებელთა რაოდენობას, მათ შორის იმ იდენტიფიცირებულ მომხმარებლებსაც, რომელნიც მთელი თვის განმავლობაში არ სარგებლობდნენ პროგრამით.
5.5. შემსყიდველი ვალდებულია ინფორმაციის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს იდენტიფიცირებული მომხმარებლების რაოდენობა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიის წარუდგენლობა ჩაითვლება იდენტიფიცირებულ მომხმარებელთა რაოდენობის დადასტურებად.

**მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდება და მიღება-ჩაბარების გაფორმების წესი**

6.1 პროგრამა ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად პროგრამის ან მისი ნაწილის ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
6.2 სააგენტო აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ს ერთ თვეში ერთხელ, რომლის დაანგარიშება ხორციელდება N2 დანართის შესაბამისად.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირები არიან:
6.3.1. სააგენტოს მხრიდან, საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი ხათუნა გოგოხია ან საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
6.3.2. შემსყიდველის მხრიდან, იურიდიული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი ან უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (ტელ: 577 111 516; ფოსტა: iarakhamia@nbe.gov.ge)".
6.4 სააგენტოს მიერ საფასურის დარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად, იდენტიფიცირებულ მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით, სააგენტოს ფასწარმოქმნის სქემის შესაბამისად (დამრგვალება ხორციელდება სააგენტოს სასარგებლოდ).
6.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულებით განსაზღვრული, შემსყიდველი ორგანიზაციის და სააგენტოს შესაბამისი რეკვიზიტების მიხედვით.

**მუხლი 7. მხარეთა კომუნიკაციისა და ტექნიკური მხარდაჭერის პირობები**

7.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები განისაზღვრება ხელშეკრულების №1 დანართით.
7.2. მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ ხელშეკრულებაში მითითებული ელ. ფოსტის, სატელეფონო ან/და წერილობითი შეტყობინებების გამოყენებით.
7.3. სააგენტო პროგრამასთან დაკავშირებით ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამუშაო დღეებში (ორშაბათი - პარასკევი) 09:00 - დან 19:00 - სთ-მდე (გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა);
7.4. აი ტი ინციდენტების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირმა სააგენტოს უნდა აცნობოს წერილობით (მეილზე) ან/და ცხელ ხაზზე შეტყობინების გზით;

**მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებები ხელშეკრულებაში**

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან და ძალაშია 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
8.2. შემსყიდველს მომსახურება მიეწოდება 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

**მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს.
9.2. ერთ–ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შერულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტაზე, რის შესახებაც წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს მინიმუმ ერთი თვით ადრე.
9.3. სააგენტოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს მომსახურების საფასურის გადახდას 2 თვის განმავლობაში.

**მუხლი 10. პრეტენზიის წარდგენის წესი**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების არაჯეროვნად მიღებასთან, მომსახურების საფასურის დარიცხვასთან ან ნებისმიერ ხარვეზთან დაკავშირებით შემსყიდველი ორგანიზაციის პრეტენზია უნდა წარედგინოს სააგენტოს წერილობითი განცხადების სახით შემდეგ მისამართზე (მის:. ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №22) ან ელექტრონული ფოსტის (ელ.ფოსტა: info@napr.gov.ge) მეშვეობით.

10.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სააგენტოს მიმართ პრეტენზიის წარდგენის ვადა შეადგენს 10 (ათი) კალენდარულ დღეს, რომელიც აითვლება მომსახურების ხარვეზის ან არაჯეროვანი მომსახურების მიწოდების მომენტიდან. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია კარგავს სააგენტოსათვის პრეტენზიის წარდგენის უფლებას.
10.3. პრეტენზიის შესახებ განცხადებაში შემსყიდველმა მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა ჩამოყალიბოს, თუ რა მიაჩნია სახელშეკრულებო პირობების დარღვევად ან არაჯეროვან შესრულებად. ასევე, პრეტენზიის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მოთხოვნას და მის დასაბუთებას კონკრეტულ გარემოებებზე მითითებით, რომლებსაც იგი ეფუძნება.

**მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი**
11.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.
11.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
11.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
11.4. პირგასამტეხლოს გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.
11.5. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების ვალდებულებისაგან.

**მუხლი 12. ხელშეკრულების დამატებითი პირობები**
12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ასლი არის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე.
12.2. სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის ამგვარ შეწყვეტამდე 1 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.
12.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პროგრამაში მუშაობისას შექმნილი ნებისმიერი მონაცემ(ებ)ი არის მომსახურების მიმღების საკუთრება. ხოლო სერვერი, რომელზეც ინახება მონაცემთა ბაზა არის სააგენტოს საკუთრება.
12.4. ამ ხელშეკრულების დანართ(ებ)ი №1 და №2, ასევე, მომავალში ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად განსაზღვრული დანართები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
12.5. დაუძლეველ ძალასთან (ფორსმაჟორთან) დაკავშირებით გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი წესები.

**მუხლი 13.მხარეთა რეკვიზიტები**
**13.1. მომსახურების მიმწოდებელი: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** - მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №22; ს/კოდი: 202238621, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა; ბ/კ.:TRESGE22; ა/ა 707427519; ანგარიშის ნომერი - GE24NB0330100200165022
**13.2. შემსყიდველი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“** - მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10კმ; ს/კოდი: 205263873; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707453459.

Tamar Kuparadze
Digitally signed by Tamar Kuparadze
Date: 2020.12.23 18:53:24 +04'00'

**დანართი N1**

**მხარეთა მიერ ტექნიკური მხარდაჭერისათვის საკონტაქტო პირები**

სააგენტოს (მიმწოდებელი) და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ (შემსყიდველი) მხრიდან ტექნიკურ-ინფორმაციული მხარდაჭერის მიზნით საკონტაქტო/პასუხისმგებელი პირები არიან.

| **საჯარო რეესტრის ტექნიკური მხარდაჭერა** | | |
|---|---|---|
| e-mail | support@napr.gov.ge | |
| Telephone | + 995 (32) 2251527 **შიდა**(8888), ან + 995 (32) 2910148 | |
| Web | www.napr.gov.ge | |
| სამუშაო საათები | ორშაბათი – პარასკევი09.00 – 19.00 | |
| | | |
| **სააგენტოს (მომსახურების მიმწოდებელი) მხარე** | | |
| **საკონტაქტო პირის პოზიცია** | **სახელი, გვარი** | **პასუხისმგებლობა** |
| ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მ/შ | შუქია ნაროზაული<br>**ელ. ფოსტა:**snarozauli@napr.gov.ge<br>**ტელ:** + 995 (32) 251528 **შიდა:**8010 / 577 62 03 09 | სრული აი ტი პასუხისმგებლობა |
| ბიზნესანალიტიკოსი | თამარ ჯოხარიძე<br>**ელ. ფოსტა:** tjokharidze@napr.gov.ge<br>**ტელ:** + 995 (32) 251528 **შიდა:** 8019 / 593004003 | პროექტის მენეჯერი |
| | | |
| **სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ (შემსყიდველი) მხარე** | | |
| **საკონტაქტო პირის პოზიცია** | **სახელი, გვარი** | **პასუხისმგებლობა** |
| იურიდიული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი | ირინა არახამია<br>**ელ. ფოსტა:** iarakhamia@nbe.gov.ge;<br>**ტელ:** +995577 111 516 | |
| იურიდიული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების სპეციალისტი | თამარ ნორაკიძე<br>**ელ. ფოსტა:** tnorakidze@nbe.gov.ge;<br>**ტელ:** +995577 111 282 | |
| | | |
| | | |

## დანართი N2

## მომსახურების საფასურის დაანგარიშების წესი და ლიცენზირების პირობები

** პროგრამის ლიცენზიების მინიმალური პაკეტი შეადგენს 10 მომხმარებელს;*
*** პროგრამის ლიცენზირება 10–დან 170 მომხმარებლამდე ხდება წინასწარ განსაზღვრული თანხით.*

- **პროგრამის საფასურის დაანგარიშების მეთოდი 10–დან 170–მდე მომხმარებლის შემთხვევაში**

| მომხმარებლებისრაოდენობა | ერთეულილიცენზიისფასი (ლარებში) | ჯამი (ლარებში) | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| **0-10** | – | 3,000 | არლიცენზირდება ერთეულითა ნამშრომელი. გადასახდელი თანხა მოჭრილიამაგ: 8 თანამშრომლის შემთხვევაში გადასახდელია 3,000 ლარი. ესწესივრცელდება 170 თანამშრომლამდე. |
| **11-20** | – | 5,000 | |
| **21-40** | – | 8,000 | |
| **41-60** | – | 10,000 | |
| **61-90** | – | 12,000 | |
| **91-170** | – | 15,000 | |

- **პროგრამის საფასურის დაანგარიშების მეთოდი 171–დან 500–მდე მომხმარებლის შემთხვევაში**

| მომხმარებლებისრაოდენობა | ერთეულილიცენზიისფასი (ლარებში) | ჯამი (ლარებში) | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 171-500 | 90 | | 171–დან500–მდე ერთეული მომხმარებელი ლიცენზირდება - მომხმარებელების რაოდენობა x 90. მაგ: **460**თანამშრომელის ლიცენზიაშეადგენს 41,400 ლარი |

- **პროგრამის საფასურის დაანგარიშების მეთოდი 500–დან 1000–მდე მომხმარებლის შემთხვევაში**

| **მომხმარებლებისრაოდენობა** | **ერთეულილიცენზიისფასი (ლარებში)** | **ჯამი (ლარებში)** | **შენიშვნა** |
|---|---|---|---|
| 501-1000 | 40 | | 500–ზეზემოთ ყოველი დამატებით მომხმარებლის ლიცენზიის საფასური შეადგენს40–ს. მაგ: **560**მომხმარებლისფასი – (500*90)+60*40=45,000+2,400=47,400 ლარი |

- **პროგრამის საფასურის დაანგარიშების მეთოდი 1000–ზე მეტი მომხმარებლის შემთხვევაში**

| **მომხმარებლებისრაოდენობა** | **ერთეულილიცენზიისფასი (ლარებში)** | **ჯამი (ლარებში)** | **შენიშვნა** |
|---|---|---|---|
| >1000 | 20 | | 1000–ზეზემოთ ყოველი დამატებით მომხმარებლის ლიცენზიის საფასური შეადგენს20–ს. მაგ: **2800** მომხმარებლისთვის ლიცენზიების ფასი დაანგარიშდება შემდეგი სქემით: (500*90)+(500*40)+(1800*20)=101,000 |

# საქართველოს მთავრობის

## განკარგულება

№496 2012 წლის 23 მარტი ქ. თბილისი

**სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების მიერ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამის სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო
CIVIL CERVICE BUREAU
№ 102 27-03 2012
1 ფურცელი